

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გარემოს დაცვის კომისიის სხდომის
ოქმი №79

05.03.2021 წ.

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე),
ლევან ჯაფარიძე (ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“), ერეკლე
კუხიანიძე, ლევან ჯაფარიძე (ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“,
მაჟორიტარი წევრი), თარაშ შურღაია.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. რევაზ სოხაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. დავით უთმელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. ვახტანგ შაქარიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. დავით ჭელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. ლევან ჟორჟოლიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. გიგა გიგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის
საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. ოთარ ჩიტიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის
იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და
ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
3. ნინო ზაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის
იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და
ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: გიორგი დოხტურიშვილი
(კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი გიორგი დოხტურიშვილი მიესალმა დამსწრე
საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომა გაიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 18 თებერვლის №12-032104946-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 23 თებერვლის №12-032105459-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 26 თებერვლის №12-032105738-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 26 თებერვლის №12-032105739-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ნინო ზაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

5. მიმდინარე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის (2021 წლის 12 თებერვლის წერილი №12-032104393-03; დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული №0120363462-67 განცხადება) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ნინო ზაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 18 თებერვლის №12-032104946-03 წერილი)

დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ზაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 17 თებერვლის №21.179.219 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 12 წინადადება - №01203512123-67; №01210356-67; №01210291587-67; №01210262930-67(№01203601857-67); №01210422104-67; №0121030132-67; №01210271171-67; №012022243-67; №012032652-67; №01210181280-67; №01210393905-67 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივა).

დადგენილების პროექტის განხილვისას წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა:

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - №01203512123-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, IV მიკრო/რაიონი, 03/068 მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.10.003.068) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

მიმდებარე განაშენიანების ერთიანი სახით განვითარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება №01.17.10.003.068 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე ტერიტორიაზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

აზრი გამოთქვა:

ბ-ნმა რ. სოხამემ - ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, IV მიკრო/რაიონში მდებარე 03/068 მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.17.10.003.068) და მიმდებარე ტერიტორია ესაზღვრება (ემიჯნება) პირველი რიგის ღონისძიებათა სიაში შეტანილ ვაზისუბნის პარკის საპროექტო არეალს, რის გამოც, საკითხი საჭიროებს დეტალურ

შესწავლას და დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენას ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, IV მიკრო/რაიონში მდებარე 03/068 მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: №01.17.10.003.068) და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილების მიზანშეწონილობის თაობაზე.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს №01203512123-67 განცხადების განხილვის გადადება დამატებითი შესწავლისთვის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანშეწონილობის თაობაზე დამატებითი ინფორმაციის (დასაბუთების) წარმოდგენამდე.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - №01210356-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ქ. წამებულის გამზირზე, რესტორან „ალაზანი“-ს მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.17.13.037.022; №01.17.13.037.021, №01.17.13.037.018) ნაწილზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური 2021 წლის 17 თებერვლის №0121048223 წერილით, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, საკადასტრო ერთეულის საზღვრებში სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილების წინააღმდეგი არ არის. ამასთან, საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ საკადასტრო ერთეულის საზღვრებს მიღმა მონაკვეთებზე (აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ მხარეს) მოხდეს სატრანსპორტო ზონის სწორხაზოვნად გავრცელება.

საპროექტო მიწის ნაკვეთების საზღვრებს მიღმა მოუწესრიგებელია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელების არეალი. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო არეალის მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირება.

აქედან გამომდინარე, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, №01.17.13.037.022; №01.17.13.037.021 და №01.17.13.037.018 საკადასტრო ერთეულების საზღვრის შიგნით, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) შეიცვალოს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2), ხოლო, აღნიშნული მიწის ნაკვეთების საკადასტრო საზღვრის მიღმა არსებული

საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) შეიცვალოს სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1).

აზრი გამოთქვა:

ბ-ნმა რ. სოხაძემ - სივრცით-ტერიტორიული მოწყობის თვალსაზრისით, ქალაქ თბილისში, ქ. წამებულის გამზირზე, რესტორან „ალაზანი“-ს მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.17.13.037.022; №01.17.13.037.021, №01.17.13.037.018) ნაწილზე საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) საჭიროებს დეტალურ შესწავლას, რის გამოც მიზანშეწონილია საკითხის განხილვა გადადებულ იქნას დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენამდე.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს №01210356-67 განცხადების განხილვის გადადება დამატებითი შესწავლისთვის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანშეწონილობის თაობაზე დამატებითი ინფორმაციის (დასაბუთების) წარმოდგენამდე.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - №01210291587-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, გლდანში, მარჯანიშვილის (პუშკინის) ქუჩა №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.11.014.033) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ არსებული №01.11.11.014.032 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საზღვრებში გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება მოხდეს საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2).

გარდა ამისა, ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება ხორციელდება ასევე, №01.11.11.014.033 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საფუძველზე, კომისიის წევრთა აზრით, სივრცით-ტერიტორიული მოწყობის თვალსაზრისით,

მიზანშეწონელია ქალაქ თბილისში, გლდანში, მარჯანიშვილის (პუშკინის) ქუჩა №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.11.014.033) ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ფუნქციური ზონის - სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ქალაქ თბილისში, წყნეთში, ბაგების სატყეო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.20.01.010.452) ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება სატყეო ზონით (სატყეო), ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

საპროექტო ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელების არეალი აცდენილია ფაქტობრივი მდგომარეობით არსებულ გზას. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია გასწორდეს აღნიშნული ხარვეზი და იქნეს მოყვანილი შესაბამისობაში არსებულ გზასთან.

2021 წლის 12 თებერვლის №18-01210433515 წერილის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილ ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, წყნეთში, ბაგების სატყეო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.20.01.010.452) ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და სატრანსპორტო ზონა-1-ის (ტზ-1) ცვლილება სატყეო ზონით მისაღებია.

ცვლილებას ექვემდებრება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონაც.

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - №01210262930-67(№01203601857-67) განცხადებით, ქალაქ თბილისში, ლესელიძის ქ. №55-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.065.003) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2020 წლის 31 დეკემბრის წერილის მიხედვით, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)

გავრცელებულია არსებული შენობა-ნაგებობის ნაწილზე. შესაბამისად, საპროექტო მონაკვეთი არ წარმოადგენს საჯარო სივრცეს და ფაქტობრივად არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია.

№01.18.03.065.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი მოქცეულია ისტორიული ნაწილის დამცავ ზონაში. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების დანართი №2-ის მე-3 პუნქტის მიხედვით, თბილისის ისტორიული ნაწილის დამცავი ზონებით მოცულ ტერიტორიაზე სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ქმედებები რეგულირდება კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონით, მოცემული დადგენილებითა და განაშენიანებული რეგულირების ძირითადი დებულებებითა და წესებით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 15 თებერვლის №60-0121046335 წერილის შესაბამისად, აღნიშნული საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი №4 11.02.2021წ.), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც, ქ. თბილისში, ლესელიძის ქ. №55-ში, №01.18.03.065.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე ფუნქციური ზონის, კერძოდ, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილების საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

- განმარტებითი ბარათის „ვ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - №01210422104-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ვეკუას ქ. №3-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.18.03.011.032-ის ნაწილი) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 16 თებერვლის №01210472912 წერილის შესაბამისად, საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ქალაქ თბილისში, ვეკუას ქუჩა, №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.03.011.032) ფუნქციური ზონის, კერძოდ, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს მის მომიჯნავედ №01.18.03.011.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობის ნაწილს, რომელიც განვითარებულია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) ფარგლებში.

შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიას არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. შესაბამისად, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მიზანშეწონილია №01.18.03.011.002 და №01.18.03.011.032 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე გავრცელდეს იდენტური ზონირება.

- განმარტებითი ბარათის „ზ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 პუნქტი) - №0121030132-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, გივი სვანიძის ქუჩა №2-16ა; ი. ჭავჭავაძის გამზირი №75ა-გ და მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდები: №01.14.07.008.041; №01.14.07.008.039; №01.14.07.008.115; №01.14.07.008.137; №01.14.07.008.090; №01.14.07.008.097; №01.14.07.008.081; №01.14.07.008.040; №01.14.07.008.043; №01.14.07.008.111; №01.14.07.008.060; №01.14.07.008.063; №01.14.07.008.109; №01.14.07.008.165; №01.14.07.006.033 მიწის ნაკვეთების ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6).

საპროექტო არეალის უმეტესი ნაწილი მოქცეულია სპეციალური შეზღუდვის ზონაში, კერძოდ, მდინარეთა შეტბორვის არეალში, რომელზეც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის 28-ე მუხლისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის მიხედვით, ვრცელდება სპეციალური რეჟიმი. შესაბამისად, ზონის ცვლილება დასაშვებია შეტბორვის არეალის მიღმა არსებულ საკადასტრო ერთეულებზე.

ამასთანავე, ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების გარკვეულ ნაწილზე ვრცელდება სასაფლაოების სანიტარიული დაცვის არეალი და ასევე, მოქცეულია „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების დანართი N1.9 „საშიში გეოდინამიკური პროცესების მიხედვით თბილისის დარაიონების რუკით“ დადგენილი მაღალი გეოდინამიკური საფრთხის ზონაში.

მოთხოვნილი სახით ცვლილების შედეგად რუკაზე წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ასევე ხორციელდება მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) გავრცელება.

ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრეების კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საპროექტო ტერიტორიის კონტურში, მდინარეთა შეტბორვის არეალის მიღმა არსებულ მიწის ნაკვეთებზე და მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) შეიცვალოს საცხოვრებელი ზონა 6-ით. (სზ-6).

აზრი გამოთქვას:

ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმა და ბ-ნმა რ. სოხაძემ - იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო არეალის უმეტესი ნაწილი მოქცეულია სპეციალური შეზღუდვის ზონაში, კერძოდ, მდინარეთა შეტბორვის არეალში, რომელზეც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის 28-ე მუხლისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის მიხედვით, ვრცელდება სპეციალური რეჟიმი, ხოლო ზონის ცვლილება დასაშვებია შეტბორვის არეალის მიღმა არსებულ საკადასტრო ერთეულებზე, ასევე, ზემოაღნიშნული საპროექტო არეალი მოქცეულია მაღალი გეოდინამიკური საფრთხის ზონაში, საკითხი საჭიროებს დეტალურ შესწავლას და დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენას.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს №0121030132-67 განცხადების განხილვის გადადება დამატებითი შესწავლისთვის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დამატებითი ინფორმაციის (დასაბუთების) წარმოდგენამდე.

- განმარტებითი ბარათის „თ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-8 პუნქტი) - №01210271171-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, გლდანში მიმავალი ახალი მაგისტრალის მარჯვენა მხარეს მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.12.020.121) მოთხოვნილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ის (სსზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2021 წლის 10 თებერვლის №01210413410 წერილის მიხედვით, სამსახურთან შეთანხმებულია (2021 წლის 26 იანვრის №16-01210262565 წერილით) საპროექტო ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა. შესაბამისად, სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე უკვე არსებობს ავტომობსახურეობის ობიექტი. იგეგმება არსებული ავტომობსახურეობის ობიექტების ვიზუალური მოწესრიგება. არსებული მდგომარეობით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3), რომელიც წარმოადგენს დაბალი ინტენსივობის ზონას და ვითარდება სარაიონო და საქალაქო დანიშნულების მაგისტრალის მიმდებარედ თავისუფალ ტერიტორიებზე. საპროექტო არეალი განვითარებულია ღია ავტოსადგომებით და უმეტესად განკუთვნილი სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და ლოგისტიკური ფუნქციებისათვის. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ იგეგმება

არსებული ავტომომსახურეობის ობიექტების ვიზუალური მოწესრიგება, ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.11.12.020.121) მიზანშეწონილია გავრცელდეს სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2) ავტოგასამართი კომპლექსის, მძღოლებისა და მგზავრების მომსახურების ობიექტების (საწვავით გასამართი სადგური, სუპერმარკეტი, სწრაფი კვების ობიექტი და სხვა საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობები) განთავსების პირობით.

- განმარტებითი ბარათის „ი“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-9 პუნქტი) - №012022243-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, წყნეთის სატყეო ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.122.074) მოთხოვნილია ძირითადი რუკით გავრცელებული სატყეო ზონის და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ცვლილება სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 27 იანვრის №18-01210271523 წერილის მიხედვით, თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ).

აგრეთვე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2021 წლის 17 თებერვლის №0121048215 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმაა განხორციელდეს ძირითადი რუკით გავრცელებული სატყეო ზონის და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

აზრი გამოთქვა:

ბ-ნმა რ. სოხაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ №01.20.01.122.074 საკადასტრო მიწის ნაკვეთზე განთავსებულია მრავალწლოვანი ხე-მცენარეები, რის გამოც, მიმდებარედ არსებულ საკადასტრო მიწის ნაკვეთებამდე მისასვლელი გზის მოწყობის მიზნით, საპროექტო არეალზე არსებული ფუნქციური ზონის - სატყეო ზონის სატრანსპორტო ზონა 1-ით ცვლილება საჭიროებს დეტალურ შესწავლას და დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენას ქალაქ თბილისში, წყნეთის სატყეო ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.122.074) ძირითადი რუკით გავრცელებული სატყეო ზონის და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილების მიზანშეწონილობის თაობაზე.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, კომისიის წევრებმა

მიზანშეწონილად მიიჩნიეს №012022243-67 განცხადების განხილვის გადადება დამატებითი შესწავლისთვის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დამატებითი ინფორმაციის (დასაბუთების) წარმოდგენამდე.

- განმარტებითი ბარათის „კ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-10 პუნქტი) - №012032652-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ზაპესში, თავისუფლების ქუჩა №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.12.02.644) მოთხოვნილია ძირითადი რუკით გავრცელებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 3-ისა (რზ-3) და სარეკრეაციო ზონა-2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

№72.12.02.644 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) მომიჯნავედ. აღნიშნულ ზონაში განაშენიანების დომინირებულ სახეობას წარმოადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები.

აღნიშნული და მიმდებარედ არსებული ტერიტორიის განვითარება იგეგმება სამრეწველო ზონა 1-ში (ს-1) დასაშვები სახეობებით. ასევე, საპროექტო მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.12.02.644) იგეგმება სასაწყობე-სამრეწველო ტიპის შენობა-ნაგებობის განთავსება.

აზრი გამოთქვა:

ბ-ნმა რ. სოხაძემ - სივრცით-ტერიტორიული მოწყობის თვალსაზრისით, ქალაქ თბილისში, ზაპესში, თავისუფლების ქუჩა №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.12.02.644) ძირითადი რუკით გავრცელებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 3-ისა (რზ-3) და სარეკრეაციო ზონა-2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა საჭიროებს დეტალურ შესწავლას, რის გამოც მიზანშეწონილია საკითხის განხილვა გადადებულ იქნას დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენამდე.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს №012032652-67 განცხადების განხილვის გადადება დამატებითი შესწავლისთვის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დამატებითი ინფორმაციის (დასაბუთების) წარმოდგენამდე.

- განმარტებითი ბარათის „ლ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-11 პუნქტი) - №01210181280-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, კატო მელქაძის I ჩიხი, №13-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.007.289) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 16 თებერვლის №01210472316 წერილით, თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, №01.72.14.007.289 საკადასტრო ერთეულის ნაწილსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2). შესაბამისად, ფუნქციური ზონის მოთხოვნილი სახით ცვლილება არ გამოიწვევს ზონის არეალის ფრაგმენტაციას და მიმდებარე განაშენიანების ერთიანი სტრუქტურის რღვევას.

- განმარტებითი ბარათის „მ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-12 პუნქტი) - №01210393905-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ფონიჭალაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.05.01.060 და მიმდებარედ) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრისა და მიმდებარე განაშენიანების ერთიანი სახით განვითარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ხორციელდება ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 17 თებერვლის №18-0121048461 წერილით, თანახმაა დანართის სახით წარმოდგენილ ტერიტორიაზე განხორციელდეს ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ფონიჭალაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.05.01.060 და მიმდებარედ) ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა მისაღებია.

ხარვეზის გასწორების მიზნით, ცვლილებას ექვემდებარება №01.14.11.053.110 საკადასტრო ერთეულის მცირე ნაწილზე დარჩენილი სატრანსპორტო ზონა 1-იც (ტზ-1).

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, №01210262930-67(№01203601857-67); №01210422104-67; №01210271171-67; №01210181280-67; №01210393905-67 განცხადებებთან და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ორ ინიციატივასთან (სულ: 6 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დობტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1. გადადებულ იქნას საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დამატებითი ინფორმაციის (დასაბუთების) წარმოდგენამდე:
 - №01203512123-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, IV მიკრო/რაიონი, 03/068 მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.10.003.068) და მიმდებარე ტერიტორიაზე მოთხოვნილი ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილების და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნის საკითხის განხილვა;
 - №01210356-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ქ. წამებულის გამზირზე, რესტორან „ალაზანი“-ს მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.17.13.037.022; №01.17.13.037.021, №01.17.13.037.018) ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე მოთხოვნილი საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილების საკითხის განხილვა;
 - №0121030132-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, გივი სვანიძის ქუჩა №2-16ა; ი. ჭავჭავაძის გამზირი №75ა-გ და მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდები: №01.14.07.008.041; №01.14.07.008.039; №01.14.07.008.115; №01.14.07.008.137; №01.14.07.008.090; №01.14.07.008.097; №01.14.07.008.081; №01.14.07.008.040; №01.14.07.008.043; №01.14.07.008.111; №01.14.07.008.060; №01.14.07.008.063; №01.14.07.008.109; №01.14.07.008.165; №01.14.07.006.033 მიწის ნაკვეთების ნაწილზე

და მიმდებარე ტერიტორიაზე) მოთხოვნილი საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილების საკითხის განხილვა;

- №012022243-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, წყნეთის სატყეო ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.122.074) მოთხოვნილი ძირითადი რუკით გავრცელებული სატყეო ზონის და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ)სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილების საკითხის განხილვა;
 - №012032652-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ზაპესში, თავისუფლების ქუჩა №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.12.02.644) მოთხოვნილი ძირითადი რუკით გავრცელებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილების და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 3-ისა (რზ-3) და სარეკრეაციო ზონა-2-ის (რზ-2) ფენის მოხსნის საკითხის განხილვა.
2. უარი ეთქვას №01210291587-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, გლდანში, მარჯანიშვილის (პუშკინის) ქუჩა №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.11.014.033) ნაწილზე მოთხოვნილ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილებას.
3. რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 18 თებერვლის №12-032104946-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 6 წინადადება - №01210262930-67(№01203601857-67); №01210422104-67; №01210271171-67; №01210181280-67; №01210393905-67 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტეს:

1. გადადებულ იქნას საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დამატებითი ინფორმაციის (დასაბუთების) წარმოდგენამდე;

- №01203512123-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, IV მიკრო/რაიონი, 03/068 მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.10.003.068) და მიმდებარე ტერიტორიაზე მოთხოვნილი ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილების და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნის საკითხის განხილვა;
 - №01210356-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ქ. წამებულის გამზირზე, რესტორან „ალაზანი“-ს მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.17.13.037.022; №01.17.13.037.021, №01.17.13.037.018) ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე მოთხოვნილი საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილების საკითხის განხილვა;
 - №0121030132-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, გივი სვანიძის ქუჩა №2-16ა; ი. ჭავჭავაძის გამზირი №75ა-გ და მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდები: №01.14.07.008.041; №01.14.07.008.039; №01.14.07.008.115; №01.14.07.008.137; №01.14.07.008.090; №01.14.07.008.097; №01.14.07.008.081; №01.14.07.008.040; №01.14.07.008.043; №01.14.07.008.111; №01.14.07.008.060; №01.14.07.008.063; №01.14.07.008.109; №01.14.07.008.165; №01.14.07.006.033 მიწის ნაკვეთების ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე) მოთხოვნილი საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილების საკითხის განხილვა;
 - №012022243-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, წყნეთის სატყეო ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.122.074) მოთხოვნილი ძირითადი რუკით გავრცელებული სატყეო ზონის და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ)სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილების საკითხის განხილვა;
 - №012032652-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ზაჰესში, თავისუფლების ქუჩა №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.12.02.644) მოთხოვნილი ძირითადი რუკით გავრცელებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილების და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 3-ისა (რზ-3) და სარეკრეაციო ზონა-2-ის (რზ-2) ფენის მოხსნის საკითხის განხილვა.
2. უარი ეთქვას №01210291587-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, გლდანში, მარჯანიშვილის (პუშკინის) ქუჩა №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.11.014.033) ნაწილზე მოთხოვნილ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილებას.
3. რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 18 თებერვლის №12-032104946-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 6 წინადადება - №01210262930-67(№01203601857-67); №01210422104-67; №01210271171-67; №01210181280-67; №01210393905-67 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 23 თებერვლის №12-032105459-03 წერილი)

დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 18 თებერვლის №21.185.221 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 1 წინადადება - №012035610-67 (სამსახურებრივი ბარათი: №01210422895-67)).

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი - №012035610-67 (სამსახურებრივი ბარათი: №01210422895-67) განცხადებით, ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №81.02.95.412; №81.02.01.770) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

